

დამტკიცებულია რექტორის

26.03.21 წლის #19 ბრძანებით,

ცვლილება შესულია

რექტორის 01.04.22 წლის #21 ბრძანებით



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

დებულება

თბილისი

2021

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური

მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტები), სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების, მათი შედგენილობის, მართვის ორგანოების, თანამდებობათა დაკომპლექტების წესსა და კომპეტენციას.

2. თსას-ის სტრუქტურას წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 2 . თსას-ის მართვის ორგანოები

1. თსას-ის მართვა ხორციელდება წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მმართველობის ორგანოების/მმართველი სუბიექტების მეშვეობით;

2. თსას-ის მართვაში მონაწილეობენ წესდების მე-5 მუხლით განსაზღვრული მართვის ორგანოები: რექტორი, სამეცნიერო საბჭო, სადისერტაციო საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, თსას-ს მართავს მისი რექტორი, რომელიც იმავდროულად არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

რექტორის დანიშვნის წესი და მისი უფლება-მოვალეობები გათვალისწინებულია თსას-ის წესდებით.

4. თსას-ში მოქმედი სამეცნიერო საბჭო არის თსას-ის კოლეგიური, აკადემიური (საგანმანათლებლო-სამეცნიერო) საქმიანობის მართვის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო და უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა და ფუნქციები რეგულირდება სამეცნიერო საბჭოს დებულებით;

5. თსას-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის თსას-ში სწავლებისა და კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვის ორგანო.

თსას-ის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ნიშნავს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი.

თსას-ის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობა და

ფუნქციები რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით.

მუხლი 3. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები (ფაკულტეტები), სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. თსას-ის ძირითადი საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, მათი შედგენილობა და ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით ფაკულტეტებისა და კათედრების შესახებ;

2. თსას-ში სასწავლო, სამეცნიერო, ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების კონტროლის განსახორციელებლად, რექტორის წარდგინებით, პრორექტორს/პრორექტორებს ნიშნავს და ათავისუფლებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; პრორექტორი როგორც სასწავლო და ადმინისტრაციულ, ისე სამეცნიერო დარგში, შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახური უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლებით. მათ უფლება-მოვალეობებს არეგულირებს მათთან გაფორმებული შრომითი ხელშკრულება (სამუშაოს აღწერილობა);

3. თსას-ის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: რექტორის აპარატი, იურიდიული სამსახური, საფინანსო-სამეურნეო სამსახური, საინფორმაციო - კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სამსახური, დაცვისა და დასუფთავების სამსახური, შრომის უსაფრთხოების სამსახური, ბიბლიოთეკა, სამედიცინო სამსახური, სახელოსნო, პანსიონი.

თსას-ის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები და მათი მუშაობის წესი რეგულირდება დებულებით დამხმარე სტრუქტურულ ერთეულთა შესახებ.

მუხლი 4. თსას-ის დებულების მიღება, გაუქმება და ცვლილებების შეტანა

1. თსას-ის დებულებას იღებს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს რექტორი;
2. დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება იმავე წესით.